

5  
1954

## ახალგაზრდების სიმღერა

ჩვენ გვიუვარს მავ-შავ თვალების ბრწყინვა  
 ჩვენი სამშობლის მზერთ გართული,—  
 ვით გასაფხულის წინასწარ ხილვა  
 თებერვლის ღამით გამოხატული!  
 მშედობით ქსმლით ომის ცეცხლს, მშენებას,  
 ისევ მშედობის ვართ მონატრული!  
 გვიუვარს მზე როცა ეფრემება მუნჯარს  
 და გვიუვარს დროშა ცად ამართული,—  
 უკულ ოცდასამს მხედრული გრგვინგა,  
 უკულ ოცდახუთს ჰიმნი ქართული!



# ბ ი რ ბ ი რ

# რუს ჯურნალი

ლამაზია თბილისი: მოედნებით, ბალებით, ხეივნებით დამშვენებული. გამოგრტყელებით, ძალიან მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი. მაგრამ, მარტი მე მიყვარს განა თბილისი! კინ მოსთვლის რამდენმა მემატიანებ, გვიგრაფმა, პოეტმა თუ მოგზაურმა ინახული იგი. ათასეურ ასწერეს და გადახარეს ჩუქურთმებით მორთული შენობები, ქუჩები, მტკეთშე დაკიდული აიგნები, აი ეს პროსპექტიც, მომწონს რომ ასე მოასფალტებულია. ზედ ტროლეიბუსით მივქრი. სანაპირო ქუჩის მარცხნა რიგის მშენებლობა რომ დამთავრდება, აბა, მაშინ ნახეთ თბილისი: მტკერი გულს გაიისებს და ზედ ელვაზე უსწროსფერად გაითვალისწინებს მოტორიანი ნავი.

კარგია, ლამაზია ჩენი თბილისი! კარგია და ხალხი ხომ უკეთესი. სადღარა ძეველი უსაქმური და ლაზლანდარი კინტო, ისედაც ხმაურიან ქუჩებს ლანძლვა-გინებით რომ იქლებდა. დღევანდელი თბილისელი განათლებული, ნასწავლი, ზრდილობ...

— მოქალაქე! თქვენი ბილეთი!.. — ფიქრში გართულს მომეს-მა კონდუქტორის გაღმიზიანებული ხმა.

ეს რა დამემართა! ოკენებას ისე გაუშტაციებარ, რომ ბილეთის ალება დამვიწყებია. ალარც კი მახსოვდა, ტროლეიბუსში თუ ვი-ჯერი. შევწუხდი. საჩქაროდ ჯიბებე ვაკარი ხელი და კონდუქტორის ხურდა უზლი გაუშტოდე. მაგრამ მაშინ ვიგრძენი, რომ კონდუქტორი ამ სიტყვებით მე კი არ მომართოდა, არამედ ჩემს უკან მდგარ ზოლებიან პალტოში გამოწყობილ ქრის ახალგაზრდას, ვარდისფერ-დაკრული სახე ციცირი ლიმილით რომ უკრთოდა და ახლად ამო-ფეტეილი ბუსუსები მიზიდვებულად უმრწყინავდა საულენებებე.

— ახალგაზრდაგ! რამდენჯერ უნდა მოგმართოთ? აილეთ ბილეთი. — გაიმეორა კონდუქტორმა.

— გახა ერთი ასტანოვის გულისათვის ბილეთი უნდა აეი-ლო! — ნაძალადევი განცვიფრებით თქვა ქრის ახალგაზრდამ.

— ერთია თუ ათი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ბილეთი უნდა შეიძინოთ.

— დამაცა და შევიძენ.

— როდემდე უნდა დაგაცადოთ? თქვენთან ლაპარაკში მო-ვცილი ქილო...

— არ მინდა და არ ავიდებ, ძალა ხარ! — გაჯიურდა ქრა-თმიანი. — ხომ გითხარი მალე უნდა ჩავიდე-მეტე.

ეტყობოდა, რომ კონდუქტორს თანდათან ელეოდა მოთმი-ნება.

— ახალგაზრდაგ! ტროლეიბუსი თქვენი საქუთრება ხომ არ გვინდია, უბილეთოდ რომ მგზავრობთი! აილეთ ბილეთი, თორებ ჩამოგსემთ!

— ვახ... რაღა მე ამომილე მიზანში, ჩემს მეტი უბილეთო სხვა ვერავინ ნახე? — გაცხარდა ახალგაზრდა, პალტოს სახელო აიწია და კართა მიეიღა.

ქნებ ფული არა აქვს თან, გაუითიქრე. კიდეც შემებრალა ქრის ახალგაზრდა, რომელსაც, კინ იცის, ფული სახლში დარჩა და სარცხვილი რომ დაფაროს, უხეშობას მიმართავს, დრო უნდა გი-ყვინოს სანამ ტროლეიბუსი უახლოეს გაჩერების მიაღწევს. ის იყო უნდა მეტეა მისთვის, — მე ავიღებთ-მეტე ბილეთს, მაგრამ ვერ მი-გასწარი; კონდუქტორმა ზარის ფოლაქს თითო დააჭირა და ტრო-ლეიბუსი შეჩერდა.

— კარგი, ჰა!.. ნუ ვიკუნებ! წაიყვა შენი ტროლეიბუსი, ავი-დებ ბილეთს. — საკმაოდ უხეში კილოთი განაცხადა ახალგაზრდამ და უბეში ჩაიყვა ხელი.

— თქვენც აილეთ ბილეთი. ეს ლაპარაკი თქვენც გეხებათ. უვილას ცალ-ცალკე ხომ არ უნდა მოგმართოთ! — უთხრა უკვე საქმიოდ

გალიზიანებულმა კონდუქტორმა იქვე მდგომ სამ ახალგაზრდას, რომელიც ქერათმიანს გარს შემოწევეოდნენ და უშმაცურად ილიმე-ბოდნენ. ამათ მაშინვე მოიქექეს ჯიბები.

ტროლეიბუსი დაიძრა. ქერა ახალგაზრდამ ტროლეიბუსში აფათურა ხელი, მერე პალტო გაისხა და კოსტიუმშის ჯიბები მოიჩრია. რაკი იქაც ვერაფერი „იპოვა“, ახლა შარვლის ჯიბები მოსინჯა, ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა ჯიბებს ჩხრევავდა. ექცება, ეძება, და უცებ... თოხად გაკეცილი ცხვირსახოცი ამოილო, აუჩქა-რებლად გაშალა და ხმაურით მოხხოცა ცხვირი.

მგზავრები შეაშფოთა ამ უტიფრობამა. სამი ახალგაზრდა კი თავისუკავებლად ახარხარდა. ისინი იცინოდნენ, ხელს ჰქოვდნენ ერთმანეთს, მგზავრებს ეხლებოდნენ, თან გამამხნევებლად უყვიროდ-ნენ ქრათმიანს, აქეზებდნენ:

— სალოლ, ტუშო!.. აი ინიცი ესეთი უნდა!..

ქერათმიანს ერთი ნაკათიც არ ასთამაშებია სახეზე. ის უტი-ფრად შესცეკროდა ხალხს, ამხანაგებს. ეტყობოდა, გულში ამაყობ-და, მაბიჭები რომ უქებდნენ „ვაკეუაცობას“. შეურაცხყოფილმა კონ-დუქტორმა ლამის კრემლებზე გადმოყარა.

— მაც მე თქვენი დასაცინი ვარ! — თქვა მან და კვლავ ზარის ფოლაქს მისწვდა.

— კარგი! კარგი! არ იტირო... მოგცემთ ფულს!.. — აგდებით თქვა ქრა ახალგაზრდამ, უბის წიგნაკიდან ხუთოუმნიანი ამო-ილო და ქალს გაუწოდა.

— ეს რა არის? — გაუკეირდა კონდუქტორს. — სადა მაქვს იმის დრო, ეს ხუთოუმნიანი დაგისურდა?

— ეს კინ არის, ტო? ხან რატო ბილეთს არ იღებო, ეხლა ფულის გაძლევ—ბილეთს არ მაძლევს... ზარზეა? — გაასახავა ხელე-ბი ახალგაზრდამ და მგზავრებს ისეთი თვალით გადახედა, თოთქოს შევლას ითხოვდა მათგან: „დამემარეთ, ამ ქალთან ვერას გავ-ხდიო“.

— ხურდა ფული მომეცი, ასეთია წესი, ტროლეიბუსში რომ შემოდიარო, თან ხურდა უნდა იქონიო, აგერ, წაიკითხე! — კონდუქტორმა კედელზე გაკრულ განცხადებაზე მიუთითა, ხუთოუმ-ნიანი კი მაინც გამოართვა ვას. — შენისთანებს უფასოდ მგზავრობის ხალისი რომ წაერთვას, ამიტომ გიხურდავებ ამ ფულს. — თქვა მან, ჩანთიდან წერილი ფული ამოილო და თველას შეუდგა.

— ვინ არიან ეს ახალგაზრდები? — გააკეირვებით და ალშეო-თებით იყითხა ერთმა ქალმა, — სად გაიზარდნენ? ნუთუ საქმე არა აქვთ რა?

— რატომაც არა აქვთ! — უპასუხა გვერდით მდგარმა მამა-კაცმა. — ხომ ხედავთ, ერთობიან, ესეც „საქმეა“. ვინაბისა კი რა მოგახსენოთ. მხოლოდ ერთი მათგანი მეცნობა, აი, ის, ნაცრისფერ-ქუდიანი. წელს მისალებ გამოცდებს აბარებდა უნივერსიტეტში, მას შემდეგ კი თვალი არ მომიტოვს.

ამასობაში კონდუქტორმა ხურდა გადათვალა და ქრა „ტუშოს“ ამხანაგებზე მიუთითა:

— ამათოვისაც იღებთ ბილეთს? ქერათმიანში ჯერ ამხანაგებს გადახედა, მერე კონდუქტორს ჩანთაში.

— ვაა! სუმეა სულ მთლიან დაგცარიელებია. მეცნობები, აი! მოიტა ჩემი ხუთოუმნიანი, ხურდას მოგცემ.

თავისი ფული თითქმის ძალით უკანევ გამოართვა და მერე ისე ჯიბებზე დაწყო ხელის ფათური, ჯერ აბაზიანი ამოაძრინა, მერე ორ და სამეაპიკიანი, შარვლის ჯიბიდიან შაურიანი დაუმატა ერთად გაუწოდა კონდუქტორს, კბილების ღრეულით, ეტყობოდა მეტად კაცითილი იყო, რომ ბურიობით გული მოიხავა.

— რა გვარი ხართ, ამხანაგო? — ლაპარაკში ჩავერიო მე.

— დუნდუკოვ-კორსაკოვი გახლავართ! — თავი ასწია და ისე მომიგო.


მისმა ამფსონებმა კვლავ გადაიხარხარეს.

მე დავლონდი. სადღარა იყო ჩემი ოცნება ლამაზ თბილისზე!

— სალოლ... დღეს გემოზე გაგვატარებინები დრო... — უთხრა ერთ-ერთმა ქერათმიან ყმაზეოს, მასარზე მოწონებით ხელი დაჲრა; მერე კუელანი მოულოდნელად ძალით გალებულ ტროლეიბუსის კა-რებიდან რიგრიგად გადახედნენ.

8. ჯიფარამა





## ა. ს. გიგოვეროვის უკვეპი კომიტეტი

125 ფელი შესრულდა რუსული დრამატურგის დიდი კლასიკოსის, პოეტისა და ხახულიშვილის ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალებიდან. ა. ს. გრიბოედოვის გენიალური კომიტეტია უვაი ჰკუისაგან“ ქართულად მრავალჯერ არის თარგმნილი. ვბეჭდავთ ერთ ნაწყვეტს ამ კომიტეტის ახალი თარგმანიდან, რომელიც შესრულებულია ს. ფაზალიშვილის მიერ.

(სოხეა 80-II გორგედებიდან)

ჩაცემი

მე სიხარულით გავხდებოდი მოსამსახურე,  
მსახურად ყოფნა კი—მეჯავრება!

ზაზუსოვი

საქმეც ეგ არის, რომ ყველანი ხართ თამამები,  
რომ იქითხავდეთ—რას შვრებოლნენ თქვენი მამები,  
მაშინ უფროსთა მაგალითზე თქვენც ისწავლიდით  
და ცხოვრების გზას სწორად გავლიდით!

ჩენ, მაგალითად, ან ბიძაჩენს—აწ განსუენებულ  
მაქსიმ პეტროვისის—ქვეყნის წესი რაზიგად სწამდა?  
არათუ ვერცხლზე, ის სულ ოქროს ჭურჭელზე სჭმდა!  
თან ასი კაცი კმასახურებდა—ნეტარხსენებულს,  
მოლად ორდენებში იჯდა, რჩეულ ცხენებს დაკაყავდათ!  
სულ სასახლეში მსახურობდა, — ვის სასახლეში?

ეკატერინე მეფის კარზე მსახურობდა ის!

ო, მაშინ ისე როდი იყო, როგორც დღეს არის:  
იმ ღროში ყველა მედიდურად იღვწოდა, რაღაც,  
ორმოცი ფუთი წონა ჰქონდა თვითეულ მათგანს!  
თავს დაუკრავდი—ყურადღებას არ მოგაქცევდა,  
ავარცხნილ ქოჩის ერთ ბეჭვსაც კი არ შეარხევდა!  
დიდეკაცობა ხომ, მით უმეტეს, სხვებს არა ჰკავდა:  
სხეა ქცევა ჰქონდა, სხანაირად ჭმდა და სვამდა!  
თვით ბიძაჩემი!—თავადს და გრაფს რით არა სჯობდა?  
სურიოზული იერი და მტკიცე ზენ ჰქონდა,  
მაგრამ თუ დიდთა საამებლად საჭირო იყო,  
ისიც ცდილობდა—წელში მდაბლად რომ მოხრილიყო!

სასახლეში, ერთ მილების დღეს, ის უცაბედად,  
თურმე წაიქცა, კეფა დაპერა, ემწარა მეტად,  
და საწყალ მოხუცს ხრინწიან ხმით აღმოხდა კენესა.  
მაგრამ მეღებ შენიშნა ესა  
და უმაღლესი გალიმებით დააჯილდოვა,—  
კეთილინებებს და დასკინებს!.. მან კი იღროვა,  
აღგა, გასწორდა სალამისთვის—ვით ითხოვს რიგი  
და ისევ, განგებ, მეორეჯერ წაიქცა იგი!  
ხარხარი უფრო გაძლიერდა... მათ შესაჯერად  
კვლავ წაიქცა მესამეჯერაც!

ა? თქვენ რას იტყვით? ჩენ ამას ვთვლით აზრშეწყობილად:  
მწარედ დაეცა, მაგრამ ბოლოს წამოღვა ტკბილად!  
სამაგიეროდ ვის იშვევლნენ იქ ვისტისათვის?  
ვისა ხედებოდა ტკბილი სიტყვით სასახლის კარი?  
შესიმ პეტროვისის! ვისა სუმღნენ ყველანი პატივს?  
მაქსიმ პეტროვისის!.. დიახ, განა ხუმრობა არი?  
ჩინს, თუ პენსიას ვინ არიგებს, ვის უმაღლიან?  
მაქსიმ პეტროვისის!..  
მაშ!.. აბა, თქვენ კი, ახლანდელებს—რა შეგიძლიათ?

ჩაცემი

თითქოს ქვეყანას დაუწყია გასულელება,  
თქვენ შეგიძლიათ ამორხვით ესლა სთქვათ მწარედ,  
როცა უწინდელ დროს—ეხლანდელ დროს შეადარებთ!  
თუმც გადმოცემა ახალია—კაცს გეძნელება

მის დაჯერება,

რომ მხოლოდ იმას აღიღებდნენ, მას ჰქონდა ბედი,  
ვისიც შიშირ-შიშირად იძრებოდა მორჩილი ქედი!

რომ ომში კი არა, მშვიდობინ ცხოვრების ზღურბლებს  
შემცირ იღებდნენ, იატაქებს ურტყამდნენ შუბლებს!

ვისაც უკირდა—მათთვის წარბსაც არ შეარხევდნენ,  
ხოლო მაღლა მდგომა—პირულერობის ქსელში ახვევდნენ!

პირდაპირ შიშის და მონობის დრო იყო ისა,  
და კველაცემი მეფისადმი ერთგულებისა

და თავდადების ცრუ ნიობქეუშ იფარებოდა!  
მე ბიძათქევნენ როდი ვამბობ, საგანგებოდა!

ნუ შევაშუოთებთ იმის ფერფლსა, მაგრამ ჩენს ღროში,  
თუნდ მოხურ ეინით აღტკიცებულ სულმდაბალ ბრძოში,  
ვინ მოისურვებს საკუთარი კეფა გაწიროს

იმისთვის, რომ ხალხი აცინოს?

ზოგი მის ტოლი მოხუცი კი შურით დნებოდა  
ამ შალაცებზე და თავს, აღბათ, ეუბნებოდა:

ახ, ნეტავ მეც მხვდეს ეგ ბედიო!..  
თუმც მათი ჯიშის

სულმდაბლები და პირმოთნენი კიდევ არინ,

მაგრამ დღეს იმათ დაცინების და სირცხვილის შიში

ალაგმავს ხოლმე,—და, ტყუილად კი არა ნდება,

რომ მეფის ჯილდო მათ დღეს უკე ძუნწადა ხედებათ!

ზაზუსოვი

ახ, ღმერთო ჩემო, ეს ნამდვილი კარმონარია!

დახურულ კარებიდან მრისხანე ხმა ისმოდა:

— შემდეგი!

პასუხად ვიღაცის გვარი და სახელი ითქვა.

— დასკით რეინის პალოზე! — გაისმა განაჩენი.

მე ურუანტელმა დამიარა ტანქი.

„ვაი ამ კამას“, გავიფიქტე გუნებაში ამ სტრიქონების ავტორმა. სად ვარ, სიზმარია თუ ცხადი?

— შემდეგი! — გაისმა ისევ ბრძანების კილო დახურულ კარებში და უფრო სასტიკი განაჩენი გამოიტანეს:

— ადულებული გუდრონი დასხირ!

მე მუხლები მომექვეთა და დერუფნის კედელს მივეყრდნე.

— შემდეგი! — კიდევ უფრო უარესი განაჩენი.

ცივმა ოფლმა დამასხა.

— გაახურეთ ქურა! — გაისმის მთავარი ინკვიზიტორის ხმა. მეტი გზა არაა, უნდა გავიქცე და შევატყობინ სადაც ჯერ არს, მაგრამ მუხლები არ მემორილება, შიშისაგან მთლად ვცახცახებ.

ვაითუ გაიღოს დახურული კარები და მწვდნენ მეც კისერში და ჰაიდა გახურებულ ქურაში! — დამცეცხლა თავში ამ აზრმა თუ არა, მოვიკრიფე ძალ-ლონე და დავაპირე გაქცევა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მაგრამ ვიღაცის განწირულმა და სასოწარკვეთილმა ხმამ შემაჩერა!... — ყვიროდა ის ადამიანი, რომელსაც, ეტყობოდა, სასტიკ განაჩენს უმშადებ-დნენ.

— ცოცხლად რომ ჩამომექიდოთ და ქვევიდან შემინთოთ ცეცხლი, სულ ერთია მე ნახშირად ვერ გადავიქცევი.

ეს რაები ესმის ჩემს ყურებს, ამ საბედისწერო დახურულ კარებიდან. ხმა ისმის, თვალით ვერ ვხედავ. კიდევ უფრო შემზარევი ამბავი ესმის ჩემს ყურებს:

— ბარნაბიშვილი საკირეში ჩაუშვით, გააყოლეთ სამი-ოთხი კაცი! — აცხადებს ვიღაცა ინდეფერენტულად, თითქო რბილ საგარეულში ჩამჯდარიყოს. საჭყალი ბარნაბიშვილი!

ანდა როგორ შეიძლება ასეთი დამშვიდებული ნერვებით ამისთანა გაუგონარი ამბების ლაპარაკი? რა კატეგორიის სის-ხლი უნდა უჩენებდეს ძარღვებში იმ ადამიანებს, რომლებსაც დამშვიდებით შეუძლიათ უცქირონ ბარნაბიშვილის საკირეში წამებას?

დახურულ კარებში, ალბათ, ვიღაც დიდი სისხლისში და იყო ჩაეტრილი, რომელსაც ასე გულგრილად გამოჰქონდა ერთომეორებზე შემაზრჩხნი განაჩენები.

— 20-25 კაცი აუზში ჩაუშვით! 30-35 სული ელექტრომობებზე მიამაგრეთ! 20 სული კოცონზე! 10-15 სული გალავნის მარგილებზე! — ტყეიამფრევევით ისროდა განაჩენს-განაჩენზე ულმობელი ხმა დახურულ კარებიდან.

მაგრამ გულს განმეორავი უკანასკნელი განაჩენი იყო. თვით უსასტიკესი ნერონიც კი ვერ მოიფიქრებდა მსგავს სისასტიკეს. ეს საშინელი განაჩენი გამოიხატა შემდეგ დიალოგში:

— სად არის ლომები და ვეფხვები?

— ხეალ დილით ადგილზე იქნება! — იყო პასუხი.

— ვაშ არ დაგავიწყდეთ, ლომებზე და ვეფხვებზე მიუშვით ქალები და ბავშვები!...

ამის გაგონება და პერპენდიკულარულ მდგომარეობიდან პორიზონტალურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი თურმე დერეფნის იატაკზე. თავზე სანიტრები მაღვნენ, თვალი რომ გავა-ხილე.

— რა მოვიდიდათ? — შემექიოხა თვალუეუნა ასული.

— იქ, იქ, დახურულ კარ... — ამოეცენეს მე და ქვლავ დავაპირე გულისწავლა, მაგრამ უცებ გაიღო დახურული კარები, საიდანაც ისმოდა ტაშის გრიალი.

— რა ხდება იქ, გამაგებინეთ! — გულის ფანცეალით შევევითხე თვალუეულუნა ქალიშვილს.

— ჩეცულებრივი საწარმოო თათბირია, პიონერთა ქულ-ტურისა და დასვენების პარკის მშენებლობის შესახებ!.. პოდა, საშენ მასალას ვერ აწვდიან დროზე. ისე დიდებული პარკი იქნება, არ გინახავთ სქემა? შესავალზი მარმარილოს ლომები და ვეფხვები იქნება, შადრევნები, კოცონი, აუზი...

ამ დროს თურმე პარკში ქანდაკებებს რეინის პალოებზე აგებდნენ, ნათურებს გალავნის მარგილებზე ამაგრებდნენ, მარ-მარილოს ლომებსა და ვეფხვებს ქალები და ბავშვები რეც-ბდნენ, ბარნაბიშვილი კირით სავსე მანქანაზე იჯდა მეწისევი-ლესავით კირში ამოგანგლული... ადულებულ გუდრონს კი-გზატკეცილებზე ასხამდნენ...

806010 გოგიაზვალი

## ორიორი აოკი ცხოველი საბჭოთა აგიტის ისაზორისი

ნახ. 8. ოთარ-იხა



აქ ფაშისტური „ტიქის“ და „ვეფხვის“ ნერგათრეული ძველი ჭოგია. გვახსოვს და ვიცნობთ, მათი წყალობით ჩვენ შევისწავლეთ ზოოლოგია...



იძუღებითი მარშით მოღიან, თან მოპყვებიან ხისტით ჩვენები. გვახსოვს და ვიცნობთ, მათი წყალობით ჩვენ შევისწავლეთ უცხო „ენები“.



ჩვენს თვითმფრინავზე თითო ვარსკვდავით ჩას აღნიშნავდით, გახსოვთ მკითხველებს. ისევ და ისევ მათი წყალობით გვიცნობენ როგორც ვარსკვლავთზეცველი

# ჯინჯიხაშვილის კურტა

გამომძიებლის მაგიდასთან ზის გამოცდილი გადამყი-  
დველი, პასუხისებაში რამდენჯერმე ნამყოფი მორდეს ჯინ-  
ჯიხაშვილი.

— ბრალდებულო ჯინჯიხაშვილო, ავტობუსში ასვლისას,  
თქვენ აღმოგაჩნდათ ორ ტომარაში ჩაწყობილი ხამი ტილოს  
ნაჭრები. ზოგი მათგანი ერთ მეტრს არ ალემატებოდა, ზოგი  
კი-უფრო ნაკლები ზომისა იყო. ადასტურებთ ამ შემთხვევას?

- წვეთი წყალი არ გაუვა!
- ხამი ტილოს ნაჭრები სულ ოცდაცამეტი ცალია.
- სწორედ დაგითვლიათ!
- სად მიგჭონდათ ხსენებული ნაჭრები?
- სახლში.
- სად ცხოვრობთ?
- ფეხთანის უბანში.
- კი მაგრამ, თქვენ ხომ სამ ნომერ ავტობუსზე ჯდებო-  
დით, სამ ნომერ ავტობუსს ფეხთანის უბანში რა უნდოდა?
- პირი ფეხთანის უბნისკენ ჰქონდა და რა ვიცოდი,  
თუ ავტობუსიც უკულმართია და ზურგისკენ მდიდი!
- რად გინდოდათ ამდენი ხამი ტილო?
- ლეიბი უნდა შემექერა.
- ხამი ტილოში ლეიბი უნდა შეგვერათ?
- შეილებს გეფიცებით.
- რად გინდოდათ ასეთი ხმელი ლეიბი?
- ტანს ვაჩვენ, ბატონო.
- რას აჩვევთ ტანს?
- ხმელ ლეიბს, ბატონო, თქვენ ხელში, კაცს, ეინ იცის  
როდის მოუწევს საპატიმროს გზაზე დადგომა. ხომ უნდა შე-  
ვაჩვიოთ ტანი ხმელზე წოლას!
- რალა ასეთ პატარ-პატარა ნაკუჭებს ყიდულობდი,  
მოლიან ნაჭერს ვერსად შეხვდი?

— დაიქცა ჩემი გაჩენის დღე. სამამდე თვლა არ ფიცირება  
იმდენად უსწავლელი ვარ, რომ აგტობუსის ნომერი ვერ ვი-  
ცანი და მაგდენს მოვიფიქრებდი? აფსუს! შენისთანა პატიო-  
სანი კაცი რომ აღრევე შემხვედროდა და გაეხსენებინა, ასეთ  
პატარა ნაჭრებში ფულს როგორ დავხარჯავდი!

— სად იყიდეთ ხსენებული ნაჭრები?

— საბურთალოს ბაზარზე. ნაჭერ-ნაჭერ მოვერიფე, ცოტ-  
ცოტა ფული გადავიხადე. მოგეხსენებაო, რა ძნელია ერთად  
ფულის ჩათველა.

ამის შემდეგ სახალხო გამომძიებელი ტუხაშვილი მორ-  
დება ჯინჯიხაშვილის ოჯახს ეწვია. გადათვალ-გადმოთვალ  
ლეიბი და რაკი მორდებს სამ ლეიბზე მეტი არ აღმოაჩნდა,  
მისი ოჯახი კი ხუთი სულისაგან შედგებოდა და თვითეულ  
მათგანს წესით თითო ლეიბი ერგებოდა, ცოდვით ეინალაშ  
იტირა: რას ვერჩით ამ საწყალ, გაუნათლებელ კაცს, ჭადი-  
დან ნახშირი ვერ გამოუტარევია და რალაცა ხამი ტილოს ყი-  
დვა როგორ უჩდა დავუშალოთო.

როგორც უსაფუძვლო ბრალდების გამო გათავისუფლე-  
ბულ მორდებასაგან შევიტყვეთ, მას ამეამადაც სამი ლეიბი  
აქვს, არც მეტი, არც ნაკლები. გათამამებული ჯინჯიხაშვილი  
ახლა კაბარდინ-კოვერჯორებით სპეცულაციას აპირებს და,  
თუ ტუხაშვილის ხელში ჩავარდა, რა გზა ექნება, კაბარდინ-  
კოვერჯორის ლეიბს შეიკერავს.

შეკითხველი, ალბათ, ხვდება, გამომძიებელი ტუხაშვილიც,  
რასაკვირველია, მაშინვე მიხვდებოდა, რომ მორდებ ჯინჯი-  
ხაშვილს, რომელმაც სპეცულაციისათვის ორჯერ აგო პასუხი  
და ხუთ წელიწადს პატიმრობაში ბრძანდებოდა, ხამი ტილო  
ლეიბისათვის არ უნდოდა, მაგრამ... შეეცილა და დაუჯერა.

ასე საცოდავად გამოიყურება გამოუცდელ გამომძი-  
ებლის ხელში ჩავარდნილი გაქნილი სპეცულანტის საქმე.

ვ. კორინთიალი

საბორთა გეორგეგის ცოდნისა და სნავადის გესახებ



ცისფერ ვაჟბატონს გუდი ღაენვა —  
არტიდერიის ცეცხლის შეფერევევით.  
გვახსოვს და ვიცნობთ, მათი წყალობით  
სხვადასხვა ფერშიც კარგად ვერკვევით.



თვით „რეიხსტაგი“ ღალაზებს, ერთხელ  
მტერი სიკვდილა როგორ მოსცედა...  
გვახსოვს და ვიცნობთ, მისი წყალობით  
ვისწავლეთ ქვეყნად ხელისმოწერა.

# ჩემი ზრუნვა ას არის, მოგრძო!

ერთობის განაცხადი  
გვიპოვთ და გამოიყენეთ

რედაქციაში რაიონებიდან შემოსულ ფოსტას ვათვალი-ერებიდი. ერთმა კორესპონდენციამ დამაინტერესა. წერილი პატარა ქალაქის აღწერით იწყებოდა, რომელიც ეს-ესაა დაბი-დან ქალაქიდ გადაეკეთებინათ.

ლამაზი, სახლები, მოვლილი კარმილამო, ლარივით სწო-რი, მოკირწყლული ქუჩები, მაგრამ... აქ ჩვენს კორესპონ-დენტს მრავალწერტილი დაესვა. მის ქვემოთ გულისტკივი-ლით იწერებოდა, თუ მათი პატარა ქალაქი როგორ განიცდი-და სასმელი წყლის დიდ ნაკლებობას.

გადავწევიტე, ამ კორესპონდენციაზე დაყრდნობით ჩვენი უურნალისათვის ფელეტონი გამეეთებინა. ხელმარცხნივ რაი-ონიდან მიღებული წერილი დავდე და შეეუდექი მუშაობას.

წერილის დასაწყისი ხელმეორედ გადავიკითხე. ჩავთი-ქრდი. ვეცადე წარმომედგინა უწყლოდ დარჩენილი ქალაქი და უცებ ჩემს თვალშინ გაიელვა ყოველ დღე ნახულმა და გან-ცდილმა სურათებმა.

მე ქალაქის ცენტრიდან არცთუ ძალიან შორს ვცხოვ-რობ, გოგებაშვილისა და პეტრიაშვილის კუთხეში, მაგრამ რაოდმოაც, ჩვენს რაიონში წყლის მოწოდება მხოლოდ ეპიზო-დურად ხდება. თუკი შესაძლებელია თბილისის ზოგიერთ რაი-ონებს წყალი მუდმივად ჰქონდეს, ჩვენმა რა დააშავა!.. თბი-ლისი საათობით იზრდება. აღამიანები ხეები როდი არიან, უწყლობით ვერ იხარონ! ამიტომ უკანასკნელ დროში რამ-

დენი ქუჩა, რამდენი უბანი, რამდენი ასობით სახლი აშენდა ჩემს ქუჩის იქით, წყალი კი...

მივხვდი, ასეთი ფიქრები შორს წამიუვანდა და ფელე-ტონის წერისას ხელს შემიშლიდა, ამიტომ კვლავ რაიონიდან შემოსულ კორესპონდენციას დავუბრუნდი.

„წყალი, — წერდა წერილის ავტორი, — ქალაქის მხო-ლოდ ერთ უბანში მოდის და დილიდან-სალმომდე იმ ერ-თადერთ ონერით უზარმაზარი რიგი დგას. ისმის ყვირილი, იმართება ჩეუბი, აყალმაყალი!..

ძალაუნებურად კალამმა ქალალდზე წრე შემოხაზა და ამ წრეს თავისი ფიქრები მოჰყეა. ფიქრები ჩემს უბანს ვერ და-შორდა და რაიონისაკენ გზას ვერ გაუდგა.

მომაგონდა, რომ ჩვენს უბანში წყალს მხოლოდ ორი საათიდან ექვს საათამდე გვაწვდიან. ვაი მას, ვისაც იმ სა-ათებში ტკბილი ძილი წაილებს და წყლის ალებას ვერ მოას-წრებს. უწყლოდ დარჩენილისათვის არავითარი წყალობა არ არსებობს. დილის შეიდი საათიდან ჩვენს ქუჩას მოეფინება მაღლა ქუჩებიდან ნიალგარივით წამოსული წყლის მაძებარი მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების ურიამული, რომლებიც გაცემულ წყალს მისდევენ და კიდევ კარგი, თუკი მელიქიშვი-ლის ქუჩასთან, უცხო ეზოში მაინც დაიჭირეს დაწრეტის პი-რად მისული...

რამდენჯერ გვიფიქრია, ნუთუ შეუძლებელია, თბილისის წყლის მეურნეობის მუშაებმა, თბილისის იმ რაიონებში, სა-დაც წყლის მოწოდება ხშირად ფერხდება, მორიგი ონე-ნები შემოილონ, რათა ახლო-მახლო ქუჩების მცხოვრებლებს შესაძლებლობა მიეცეთ ორი-სამი ქუჩის იქით შინც აილონ სანატრელი წყალი.

ეს წყლული ფიქრები... ერთი ხელის მოქნევით ვეცადე თავიდან მომეშორებინა და ისევ კორესპონდენციის სტრიქო-ნებს ჩავყევი.

„ჩვენი აღმასკომი ხუთი წლის წინათ შეუდგა წყლის მი-ლების გაყვანას, მაგრამ საქმე ჯერჯერობით მხოლოდ მილე-ბის ჩასაწყობი ორმოების ამოთხრით დამთავრდა, რომელიც გაზაფხულობით ბაყაფების სანაერლო არედ არის გადაქცე-ული...“

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ განა შემძლო არ გავჩერებულიყავი!..

როგორც ჩანდა, დღეს თავს ვერ დავალწევდი მწარე ფიქრებს და ვერც ფელეტონს დავწერდი, ამიტომ შემოსულ წერილში შუა ადგილი გამოეტოვე და ბოლო სტრიქონებს გადავავლე თვალი.

წერილი ამ სიტყვებით მთავრდებოდა:

„მართალია, ჩვენი ქალაქი პატარაა, მაგრამ განა შეი-ძლება თუნდაც პატარა ქალაქის უწყლოდ დატოვება!.. ქა-ლაქის წინანდელი მესვეურები ქუჩაზე ერთ ჭაღარს დარგა-ვდნენ და ათასი სიტყვების კორიანტელს დააყენებდნენ. საქა-ლაქო მეურნეობა კი უპატრონოდ იყო მიგდებული“.

გვიცილით, გულით მინდოდა ჩვენი პატარა ქალაქის დიდი გულისტკივილი გამეზიარებინა, მაგრამ ჩემდა უნებურად ფიქრებმა შორს გამიტაცა და ერთი ფელეტონის ნაცვლად, მეორე ფელეტონი დამაწერინა.

ჩემი ბრალი არ არის, ლმერთო!..



ასეთი ახალგაზრდების პრინც

— საკვირველი ხალხი ხართ სტუდენტები, ჩემთა გვეგმა, ბირებით კურსელები ხუთ-ხუთ ჭიქასა ხვამენ და ქუჩაში ხი-ბლერით გადაიან. შენი ძმაკაცი კი მესამე კურსზეა და პირველი ჭიქაც არ გამოიყელია, რომ დახლზე თავი დახდო.

— დიახაც, ძალა, იგი უკვე თავდადებული მსმელი გახლავთ!

გვიპოვთ გამოიჩინოთ

# დონისა და დელი-ოდილავაძის გახუმრება მხატვრებთან



ზარები მხატვრის კვეთორისაგან  
ჩარჩოში

— პორტრეტების ხატვის დროს ზო-  
გი თუ ფოთოს იშველიებს, ჩემთვის  
ეს ჩარჩოც ხაქმარიხა... .



ქრისტიანი პირჭლავის ნინაშვილი

— თვითონ მხატვარს ვკითხე  
და ვერ ამისსნა რისი თქმა სურ-  
და ამ სურათით... მე რაღა ვუ-  
თხრა აუდიტორიას!?. ისევ ფი-  
რების პოეტურობისა და მრუდე  
ხაჯების ესთეტიკურ მნიშვნელო-  
ბაზე ვილაპარაკებ ..



ნაზურათიშვილი



ცალ-ცალკე არ სურთ იმოღვანეონ,  
ხატვას შეუეგნენ ერთად, ნაღურად.  
სურათს სახელად აქვს „ნატურმორტი“,  
ანუ უბრადოდ: მკვდარი ნატურა!

თუმც ერთმანეთი დაღოცეს ძმურად,  
ლვინო მოიქცა მუხანათურად!—  
და სურათს ჰქვია კვდავ „ნატურმორტი“,  
ანუ უბრადოდ: მკვდარი ნატურა...



ნაზურალიშვილის გენერობები

როცა სოფელი მიავრინეს,  
„რეკორდსმენი“ იკითხა,  
ორი ღლე და ღამე ხატა  
შემოქმედმა იგი თხა!

ვერ იქნა და ვერ დახატა  
ჰიქანსავსე ნაცარა,  
მესამე ღლის დალამება  
უკვე თხამ არ აცადა.

სიხარული ამეტყველდა  
მხატვრის მოგრძო ენაზე:  
— ვგრძნობ, სურათი თავის ფეხით  
მივა გამოფენაზე!

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: გ. აბაშიძე, ა. ბელიაშვილი,  
ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, ი. ნინეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილი. Сатирико-юмористический журнал „Ниавги“. Редакция: 8-10-49.

სექტემბერი. დასაბ. 17/II 1954 წ. სტამბა „ზარია გოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 468 გამოც. № 4 ტიკ. 15.000 უ. 01970.



### ჩერის ნუგავი

— ენაცვალოს დედა, წერილის წერი ხავზობიდანვა ეზარებოდა! შიშით გურა ვერ მოვიძრიუნდა  
გაზეთებიდან რომ არ ვგებულობდე ჩინ მძივებ.. მოელო ჩაიონა ავი ისამელი ცოდნითა და შრომება  
ანდა კი დეპუტატად დაუხახელებილია!